№ 20 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 28 იანვარი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, იანვრის 28-ს ზელინსკაიას ბენეფისი

### ლ ა კ მ ე

ხუთშაბათს „აბესალომ და ეთერი“. პარასკევს იანვრის 30, მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით „ჩერევიჩკი“, შაბათს, ოპერა მოწაფეებისათვის „მეფის საცოლო“. კვირას, თებერვლის 1, ევლახიშვილის ბენეფისი დავიდოვას მონაწილეობით „კარმენი“.

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტეხნიკურ განყოფილების მიერ

1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ავტომობილების გასაყიდათ: 1) ლაურინ-კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10.000 მან., 2) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20 000 მ., 3) სტევერ 6 ძალ., შეფასებულია 30.000 მან., 4). ბენც 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენც 20 ძალ., შეფასებულია 50 000 მ., 6) ნ. ა. გ. 18 ძ., შეფასებულია 20.000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12.000 მ., 8) ფორდ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსულ ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) პეჟო 16 ძალ., შეფასებულია 30.000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119.

8 6—4

## საჯარო ვაჭრობა

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს რომ ხუთშაბათს 29 იანვარს შუა დღის 12 საათზე გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გასაქირავებელი ბუტკების. 1) ალექსანდროვის ბაღში, ლორის-მელიქოვის ქუჩა და ვერის ხიდის ბოლოში კირპიჩნის ქუჩა. ყოველგვარი საჭირო ცნობების გაგება შეიძლება ქ. თვითმართველობაში საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში დილის 10 საათიდან.

## ოფიციალური განყოფილება.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

**რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყების მიმართ.**

22 იანვარი, 1920 წ., № 4.

სამხედრო ფლოტილიის მექანიკურ სახელოსნოს საყიდლათ და მოსაწყობათ ქ. ფოთში ენიშნაგ კომისიას სამხედრო უწყების წარმომადგენლის 1 ლი რანგის კაპიტან თაყაიშვილის თავმჯდომარეობით შემდეგი წევრათა შემადგენლობით. წარმომადგენლის ქ. ფოთის ნავთსადგურის ადმინისტ. ნავთსადგურის უფროსის დანიშნულებით და სახელმწიფო კონტროლისაგან.

კომისიას აქვს უფლება მოიწვიოს მუშაობისათვის კერძო მცოდნე პირები.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე**

## განკარგულებანი

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებისა.**

№ 10.

დამტკიცებულ იქნას არსენ ვასილის ძე შალვანაძე ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა 1919 წლის 29 ოქტომბრიდან.

1920 წ. იანვრის 22 № 11.

დამტკიცებულ იქნან გუმისტანის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე დიმიტრი ვასილის ძე შაინოვი და ერმოლოზ დიმიტრის ძე ნადარეიშვილი დღიდან მათი არჩევისა—1919 წლის 12 ოქტომბრიდან.

1920 წლ. იანვრის 22 № 12.

დამტკიცებულ იქმნან ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე ნიკოლოზ იასონის ძე ელიოზაშვილი, გრიგოლ პეტრეს ძე დალაქიშვილი, პეტრე ივანეს ძე აკოფოვი, ანდრია პავლეს ძე ხუციევი და არამ მათეს ძე ტატოსოვი დღიდან მათი არჩევისა 1919 წლის 10 დეკემბრიდან.

1920 წელი 26 იანვარი № 13.

დამტკიცებულ იქმნას ტფილისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე ნიკოლოზ ივანეს ძე გვანცელაძე თანამდებობაზე—დღიდან მისი არჩევისა 1919 წლის 30 დეკემბრიდან.

თავმჯდომარის მაგიერ **გრ. გველესიანი.**

**მიწათ-მოქმედების მინისტრისა.**

17 ნოემბერი, 1919 წ., № 392.

**ინიშნებიან:** წყალთა სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილების მმართველის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად იმავე განყოფილების მასალათა გადამმუშავებელი ინჟენერი ივანე გიორგის ძე ზუხტურიძე; მასალათა გადამმუშავებლის ინჟ. მოვალეობათა დროებით აღმასრულებლად უფროსი ტეხნიკი იმავე განყოფილებისა ინჟ. ირაკლი ლევანის ძე მჭედლიშვილი და უფროს ტეხნიკის მოვალეობათა დროებით აღმასრულებლად ტეხნიკი მიხეილ ვლადიმერის ძე რომანოვი, სამივე ა. წ. 1 გიორგობისთვიდან.

18 ნოემბერი 1919 წ. № 393.

**ინიშნება:** ვიტალი პავლეს ძე პოპოვი ქიაურის სახელმწიფო ეროვნულ მამულის მოურავად დროებით ა. წ. გიორგობისთვის 5 დან ათას ექვსას ოთხმოცდა ხუთი მან. (1685) ჯამაგირით თვეში.

19 ნოემბერი, 1919 წ. № 394.

**ინიშნება:** მიწათ მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების ავტომობილზე შოფერად ნაუმ მაუკინი, ხოლო მის თანაშემწედ უსტინა პასტერნაკი პირველი ამა წლის 1 ოქტომბრიდან, ხოლო მეორე ამავე წლის პირველი ნოემბრიდან.

19 ნოემბერი, 1919 წ. № 395.

**განთავისუფლებულია:** გადასახლების განყოფილების განკარგულებაში მოვლენილი ხაშურის რკინის გზის მასწავლებელი მიხეილ ხმალაძე ახალქალაქის გადასახლების საქმის სარაიონო გამგის თანაშემწის თანამდებობის აღსრულებისაგან და წარვლენილ არს ისევ რკინის გზის სამმართველოს სასკოლო განყოფილების განკარგულებაში ამა წლის პირველ დეკემბრიდან.

19 ნოემბერი, 1919 წ., № 396.

**ინიშნება:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს მანქანაზე გადამწერად ფელიცა სტანისლავის ასული ქოხოვსკაია.

21 ნოემბერი, 1919 წ., № 397.

**დათხოვნილია:** სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის მწარმოებელი ა. ო. კოროპია ა. წ. გიორგობისთვის 20 დან, როგორც სახელმწიფო ენის არა მცოდნე.

21 ნოემბერი 1919 წ., № 398.

**დაინიშნა:** ალექსანდრე პორფილეს ძე რუხაძე ლაგოდეხის რაიონის გადასახლების საქმის გამგეთ ამა წლის 20 ნოემბრიდან.

21 ნოემბერი, 1919 წ., № 399.

**დაინიშნა:** გადასახლების განყოფილების საბარგო ავტომობილის გამგედ ალექსანდრე ვასილის ძე მამაკინი ა. წ. 20 ნოემბრიდან.

22 ნოემბერი, 1919 წ., № 400.

**ინიშნება:** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სამოვარ-საიჯარო განყოფილებაში სახელმწიფო ფონდის გამგედ ივანე მიხეილის ძე ციხითათრიშვილი 14 ოქტომბრიდან 1919 წ.

№ 401.

**ინიშნება:** ქუთაისის სასოფლო-მეურნეობის სასწავ. მასწავლებლად გიორგი ფარნ.-ძე ქანთარია ა. წ. ნოემბრის 1-დან.

24 ნოემბერი, 1919 წ., № 402.

**ინიშნება:** მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტი ვლადიმერ გრიგ.-ძე სანაძე სახელმწ. მამულთა სექციის გამგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ა. წ. გიორგობ. 21-დან.

24 ნოემბერი, 1919 წ., № 403.

**დათხოვნილ არიან:** მლოლნელთა წინააღმდეგ მებრძოლ საცდელ სადგურის გამგის თანაშემწე მ. ვ. შიდლოვსკი, ლაბორანტები: ე. პ. სემიონოვისა,- და ნ. პ. ბოიახჩევისა, პრეპარატორები—ვ. ა. შტერნი, შ. ი. ციმერმანი, ე. ა. ამიროვისა, პრეპარატორის თანაშემწე: ტ. გ. გოცირიძე, მწერალი მ. ბოიახჩევისა და მსახურნი: ა. ვ. გოცირიძე და ა. ვ. ტიმოფეევისა ა. წ. გიორგობისთვის 1-დან ხსენებულ სადგურის ლიკვიდაციის გამო.

24 ნოემბერი, 1919 წ. № 404.

**ინიშნება:** სერგო ტიმოთეს ძე გვეტაძე ვარციხის სახელმწიფო მამულის სამეურნეო ნაწილის გამგედ ა. წ. ნოემბრის 21-დან.

24 ნოებერი, 1919 წ. № 405.

**განთავისუფლებულია სამსახურიდან და თანამდებობიდან:** მიწის მზომლის თანაშემწე ი. ბოკერია, თანახმად მისი თხოვნისა ა. წ. 15 ნოემბრიდან.

24 ნოემბერი, 1919 წ. № 406.

**დათხოვნილია თანამდ. და სრულიად სამსახ.:** ი. ნ. დავითაშვილი ქსნის სატყეოს გამგე, თანახმად თხოვნისა 5 ნოემბრიდან 1919 წლ.

**გადაყვანილია:** ს. მ. ლავროვი მეორე ხარისხის ფოთის ტყის გამგე სამსახურის სასარგებლოთ ქსნის სატყეოში.

24 ნოემბერი, 1919 წ. № 407.

**დათხოვნილია:** ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი ელიზბარ ჯიქია თანახმად თხოვნისა ა. წ. გიორგობისთვის პირველიდან.

**დანიშნულია:** ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის სპეციალურ საგნების მასწავლებლად დავით მდივანი ა. წ. გიორგობისთვის 8-დან.

25 ნოემბერი, 1919 წელი № 408.

**განთავისუფლებულია:** უფროსი ბუჰგალტრის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. ა. ობერტი 15 ნოემბრიდან, თანამდებობაზე დატოვებით.

**ინიშნება.** ვ. ი. ჩხაიძე ამავე სამინისტროს უფროს ბუჰგალტრის თანამდებობაზე 15 ნოემბრიდან.

26 ნოემბერი, 1919 წ. № 409.

**ინიშნება:** ე. ლ. ცერცვაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

26 ნოემბერი, 1919 წ. № 410.

**ჩარიცხულია:** აბაკელია-მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებაში 20 ნოემბრიდან 1919 წლ. უჯამაგიროდ.

**ინიშნება:** გ. ი. მახვილაძე და ა. ი. ლეონტიევი მეორე ხარისხის ტყის გამგეების თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

27 ნოემბერი, 1919 წლ. № 411.

**ინიშნება:** ი. ივ. ნიკოლაიშვილი აბასთუმანის სახელმ. მამულის გამგედ ა. წ. 17 ნოემბრიდან.

28 ნოემბერი, 1919 წლ. № 412.

**ინიშნება:** გ. დ. გოცირიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

28 ნოემბერი, 1919 წელი. № 413.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** მიწის მზომლის თანაშემწე სკოჩკოვი, თანახმად თავისი თხოვნისა ამა წლის 16 ნოემბრიდან.

29 ნოემბერი, 1919 წ., № 414.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ა. ი. ცისკარიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე 9 ღვინობისთვიდან 1919 წლ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.**

20 დეკემბერი, 1919 წ., № 293.

**განთავისუფლდეს** სრულიად სამსახურიდან სახაზინო ნაწილის უფროსი ალექსანდრე სვიმონის ძე ვაშაკიძე იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსს ბუჰჰალტერად დანიშვნის გამო ამა წლის 1 დეკემბრიდან.

22 დეკემბრი, 1919 წ., № 294.

**განთავისუფლებულ** იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა და ამიერ-კავკასიის ბანკის ბათუმის განყოფილების მმართველად დანიშვნის გამო საკრედიტო განყოფილების უფროსი ვასილი ბარნაბის ძე ღლონტი ამა წლის 15 დეკემბრიდან.

22 დეკემბერი, 1919 წ., № 295.

**დაინიშნოს** საკრედიტო განყოფილების უფროსად, სახელმწიფო ბანკის კომისარი და საკრედიტო განყოფილების უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი სვიმონ არჩიპის ძე ჟორჟოლაძე ამა წლის 15 დეკემბრიდან.

25 დეკემბერი, 1919 წ., № 296.

**დროებით დაევალოს** საერთო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღსრულება იმავე განყოფილების უფროსის თანაშემწეს გიორგი ესტატეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ამა წლის 5 დეკემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. **ს. ავალიანი.**

—

**შინაგან საქმეთა მინისტრისა.**

3 იანვარი, 1920 წ., № 3.

ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების განკარგულებაში მივლინებული ექიმი-ვეტერინარი დოსიჩევი დაინიშნოს ახალქალაქის პუნქტის ექიმ-ვეტერინარის თანადებობაზედ პირველ იანვრიდან 1920 წლ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**იუსტიციის მინისტრისა.**

31 დეკემბერი, 1919 წ. № 340.

**დროებით გადაყენებულ იქმნას სამსახურიდან:** გუდაუთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსი ივანეს ძე პისარევი 1919 წლის დეკემბრის 31-დან.

№ 11.

**დაინიშნა:** ტფილისის ხაზინის მოანგარიშე მოხელე გრიგოლ გედეონის ძე გედევანიშვილი კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწედ ა. წ. იანვრის 1 დან.

12 იანვარი, 1920 წ., № 12.

**იგზავნება:** ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ვასილ გრიგოლის ძე ქელბაქიანი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღსასრულებლად თავის თანამდებობაზე დატოვებით ა. წ. იანვრის 12-დან.

14 იანვარი, 1920 წ., № 13

**დაინიშნა:** კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწედ კანცელარიის მოხელე გრიგოლ კირილეს ძე ასათიანი ა. წ. იანვრის 1-დან.

14 იანვარი, 1920 წ., № 14.

**დაინიშნა:** კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწედ საქმის მწარმოებლის თანაშემწე მარიამ მარკოზის ასული ალექსიძისა ა. წ. იანვრის 1 დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# ერობათა წარმომადგენლების თათბირი

26 იანვარს ერობათა ცენტრის ბინაზე მ. ცეკვაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა ერობათა მთავარი კომიტეტის და ერობათა გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე გამოცხადდა 25 კაცი. ყრილობის დღის წესრიგი შემდეგი: მთავრობის მიერ ცენტრალური სასურსათო საბჭოს გადმოცემასთან დაკავშირებული კითხვები: საბჭოს რეორგანიზაცია და მომარაგების და სხვა განყოფილებების დაარსება. 2) საერობო ბანკის დებულების განხილვა და დამტკიცება. 3) სოფლის ერობის დებულების განხილვა. 4) კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს არჩევნები. 5) მორიგი კითხვები. სასურსათო საბჭოს მიღების შესახებ თათბირს მოხსენდა საქმის ვითარება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოს ქონია ამ ჟამად 25 მილ. მანეთამდე—ფული და საქონლის სახით ძველი შეფასებით, აქ არ შედის შაბიამნისა და გოგირდის ოპერაციიდან მისაღები ფული, არ შედის აგრეთვე ის ვალები, რომელიც გაცემულია სხვა და სხვა დაწესებულებებზე კერძო პირებზედაც. საბჭოს შეუფერ დონეზე დაუყენებია ბუჰალტერია და შეძლების დაგვარად მოუსპია ქურდობა ფუნქციაში. შემდეგ თათბირს მოხსენდა მთავრობის 30 დეკემბრის დადგენილება სასურსათო საბჭოსი ერობათა კავშირისათვის გადაცემის შესახებ. როგორც გამოირკვა 1 იანვრიდან 1920 წლისა ეს საბჭო უკვე ირიცხება ერობათა კავშირის ხელში.

შემდეგ თათბირს მოხსენდა მომარაგების სამინისტროსთან დამოკიდებულების გამორკვევისაკენ გადადგმული ნაბიჯები. საქონლის განაწილებაში, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენ შეგვედავა კოოპერატივთა კავშირი, მაგრამ ბოლოს მომხდარა შეთანხმება შემდეგ ნიადაგზე: არსდება კოლეგია ერობათა კავშირის, ქალაქთა კავშირის და კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლებისაგან. ეს კოლეგიალური დაწესებულება ანაწილებს მომარაგების სამინისტროსაგან მიღებულ საქონელს.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა ერობების წარმომადგენლებმა. ყველანი აღნიშნავდნენ, რომ სასურსათო პოლიტიკის წარმოებაში მთავრობა სავსებით უნდა ეყრდნობოდეს ერობებს. თათბირმა უნდა მოითხოვოს რწმუნებულთა ინსტიტუტის დაუყონებლივ გაუქმება. არა სავალდებულო საქონლის დამზადების და საზღვარ გარეთ გაზიდვის უფლება უნდა მიეცეს ერობებს, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც კერძო ინიციატივის მოსპობა. კერძო ინიციატივას ჩვენ უნდა შეუზღუდოთ გზა არა კანონით, არამედ ჩვენი სიძლიერითო სთქვა ერთმა ორატორმა. თათბირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ექსპორტის საკითხს და ხაზგასმით აღიარებს, რომ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის აუცილებლათ საჭიროა მთავრობამ და ერობებმა მიიღონ სათანადო ზომები ჩვენი სახეირო სავაჭრო ბალანსის შექმნისაკენ. ჩვენში, ამბობს ერთი ორატორი, უსაზღვრო სიხარულს იწვევს ის გარემოება, როდესაც ფოთში შემოვა უცხოეთის საქონლით დატვირთული გემი, ხოლო იმაზე კი არ ვზრუნავთ, რომ ჩვენი საქონელი გატანილ იქნას საზღვარ გარეთ. მთავრობამ უნდა გამოაცხადოს არა ის, თუ რისი გატანა შეიძლება, არამედ ის თუ რის გატანა არ შეიძლება და რის გატანა შეუძლია მარტო ერობებს, და რაც დარჩება ყველას უნდა შეეძლოს მისი უნებართვოთ გატანა. ამ საკითხს თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ოთხი კაცისაგან შემდგარ კომისიას დაავალა მთავრობის თავმჯდომარესთან ამ საკითხის და საერთოდ სასურსათო პოლიტიკის შესახებ მოლაპარაკების გამართვა.

კოოპერატივების შესახებ თათბირში მონაწილენი აშკარად აცხადებდნენ, რომ კოოპერატივებმა არა სასურველი მიმართულება მიიღეს, სპეკულიაციისაკენ გადიხარენ, ამიტომ ერობები და საერთოდ ყველა კოოპერატორები უნდა შეეცადონ ამ კოოპერატივების გაჯანსაღებას და მათთვის ნამდვილი მიმართულების მიცემას. ადგილობრივათ საქონელს ანაწილებს მხოლოდ ერობა. ხოლო როგორ მოახერხებს მას, როგორ დაეხმარება კოოპერატივებს (და არა მათ კავშირებს) ამ საქონლის განაწილებაში, ეს ტეხნიკური საკითხია და ადგილობრივათ მოგვარდება. ამ განაწილების საკითხში კოოპერატივები აუცილებლათ უნდა დაუმორჩილდნენ ერობას. გამოითქვა სურვილი, რომ კავშირმა ერობებს საქონელი უნდა მიაწოდონ ნისიათ, ხოლო უკანასკნელნი ვალდებულნი არიან 3 კვირის განმავლობაში, ან განსაზღვრულ ვადაში გაუსწორონ ანგარიში ერ. კავშირს. ამ საკითხზე რეზოლიუციის გამომუშავება მიენდო საგანგებოთ არჩეულ კომისიას, რომელიც უნდა წარუდგეს მთავრობას.

შემდეგ თათბირს მოხსენდა საერობო დებულების ძირითადი საფუძვლების პროექტი შედგენილი მ. ცეკვაშვილის მიერ. თათბირმა ამ საფუძვლებიდან გამოყო ორი საკითხი: სოფლის ერობის ორგანიზაცია და თვით დაზუსტება. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. კამათში ნათლად დაისახა ორი მიმდინარეობა: პირველი მიმდინარეობა იცავდა სოფლის თვითმართველობის მოწყობას. თავის აზრს ასაბუთებდა იმით, რომ სოფელი ცოცხალი ორგანიზმია ისტორიულად, ფაქტიურად და ამიტომ მას, როგორც უჯრედს ცოცხალი ორგანიზმისა უნდა ჰქონდეს სადა თვითმართველობა, სათანადო მუხლი უნდა შეტანილ იქნას საერობო დებულებაშიო. სოფლის ასეთი ორგანიზაცია უნდა მოხდეს ყველგან, სადაც ამას ცხოვრება და ადგილობრივი პირობები მოითხოვენო. რაჭის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაქტიურად რაჭაში უკვე არის ასეთი სოფლური ორგანიზაცია და რათ არ გსურთ, რომ მას იურიდიული გამოხატულება მიეცესო. მეორე მიმდინარეობა მტკიცეთ იცავდა ადგილობრივი მმართველობის ორ საფეხურიანობას თემი და სამაზრო ერობა, ამის გარეშე არაფერი არ არის მისაღები და სოფლის ერობის გამოკვეთა დიდ არევ დარევას შეიტანს ჩვენს ცხოვრებაშიო. საჭირო გახდება ყველა სოფელში კანცელარიების და თანამდებობის პირთა შენახვა. ეს კი დღევანდელ სოფლის მდგომარეობისათვის აუტანელი გახდებაო. ისე კი ჩვენ ვცდილობთ ამბობდნენ მეორე მიმდინარეობის დამცველნი, თემი დაუახლოვდეს სოფლის ფარგლებს, მაგრამ ამას ზევიდან კი არ უნდა მოხდენა, არამედ ეს ხდება ბუნებრივათ; როდესაც სოფელი ეკონომიურათ და კულტურულათ მოღონიერდება და გამოყოფას მოითხოვს ჩვენ მას ამის უფლებას ვაძლევთ და იქ არსდება ცალკე თემი. ამ რიგათ თვით ცხოვრება და შექმნილი პირობები საუკეთესოთ განსაზღვრავენ თემის და სოფლის დამოკიდებულებას ისე კი როგორც ერთი, ისე მეორე მიმდინარეობა აღიარებდა, რომ სოფელში რაღაცა უნდა არსებობდეს, რომ გამორკვეული უნდა იქნას სოფლის და თემის დამოკიდებულობა. დასასრულ გამოითქვა აზრი, რომ ადგილობრივი მმართველობა უნდა იყოს მხოლოდ ორ საფეხურიანი. იმ თემისათვის კი რომელნიც შესდგებიან რამოდენიმე სოფლისაგან, უნდა შეტანილ იქნეს საერობო დებულებაში ნორმები მათი თემებთან დამოკიდებულების გასარკვევათ. ამ საკითხის შესახებ რეზოლიუცია შემდეგ იქნება გამოტანილი.

# ტფილისის ქალაქის საბჭო

**26 იანვრის სხდომა**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება შესახებ სავალდებულო დადგენილების პროექტისა სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

ხსენებულმა საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საბჭოს წევრთა შორის. გომართელი, გველესიანი და სხვ. მოითხოვენ, რომ კვირა, როგორც საერთო დასასვენებელი დღე, ყველასათვის სავალდებულო იყოს, რომ სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდეთ ერთმანეთთან დაახლოვების და რომ ეროვნებათა შორის არ იქნეს ერთნაირი კედელი აღმართული.

ბოლოს საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება:

საკითხი დაუბრუნდეს შერეულ კომისიას, სადაც გამგეობასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სხვა დაინტერესებული პირებიც და ეთხოვოს გამგეობას ეს საკითხი დაჩქარებით იქნას წარმოდგენილი საბჭოში განსახილველად. ამის შემდეგ, ქალაქის საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ მოხსნილ იქნას თვითმპყრობელურ რუსეთის მიერ ტფილისში ამართული ძეგლები, როგორც მაგალითად ვორონცოვის ძეგლი, ვერის ქუჩაზე, დიდების ტაძარზე და სხვა არა შესაფერისი წარწერები. ხსენებული მოხსენება საბჭომ უკამათოდ მიიღო. თვითმართველობის მოსამსახურეთა ნამსახურობის სიების მოსაწესრიგებლად და მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ცნობების შესაკრებად გადადებულ იქნა 20640 მანეთი.

საბჭომ ნება დართო გამგეობას იანვრისა და თებერვლის განმავლობაში დახარჯოს სხვა და სხვა საჭიროებისათვის ოც-ოცი მილიონი მანეთი თვეში სულ 40 მილიონი იმ პირობით, რომ გამგეობა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვას წარმოადგენს თებერვალში და 1920 წლისას კი მარტში.

არტისტიულ საზოგადოების თეატრის და სხვა შენობების იძულებით ჩამორთმევის შესახებ ქვორუმის ნაკლებობის გამო, გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

დასასრულ ქალაქის მოურავი განმარტებას იძლევა დ. ვაჩნაძის შეკითხვის გამო იმის შესახებ, თუ როგორ მიდის ქალ. ტფილისის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდის საქმე.

უნდა მოგახსენოთ, ამბობს ქალაქის მოურავი, რომ ჩვენი მოლოდინი ტფილისის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ არ გამართლდა.

სავალდებულო დადგენილების პირველ დღეებს კომისარიატებში შედგენილიყო 1.900 გადასახლებელი ოქმები. ჩვენ დაწვრილებითი ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ თუ რამდენი კაცი წავიდა თავისი ნებით. იძულებით გადასასახლებულ იქნა სულ 562 კაცი. როგორც ვთქვი ჩვენი მოლოდინი სავსებით არ გამართლდა. მაგრამ ამ ზომას მაინც ორი დადებითი მხარე აქვს. ერთი ის, რომ ტფილი-

# საქართველოს კონსტიტუციისთვის.

2.

საქართველო უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის გველეშაპის ხელში იგუდებოდა. მას უბრალო ოცნებაც კი აკრძალული ჰქონდა თავის შელახული და შეგინებული უფლების აღდგენისათვის. 1783 წ. ტრაქტატის ძალით იგი თავისუფალი და შინაურ ცხოვრებაში სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. ხოლო თვითპყრობელი რუსეთის ტლანქმა ძალამ ყოველივე უფლება და სამართლიანობა გასთელა და საქართველო პოლიტიკურათ სრულებით გააუქმა და ქართველები ეროვნულად დაიმონავა. მაგრამ დასევდიანებული, დამწუხრებული საქართველო იმედს მაინც არ იქრობდა გულში და თავის აღორძინება—გამთელებისათვის უკეთესი მერმისის მოსაახლოვებლად იბრძოდა დიდი ყოფილი რუსეთის ფარგლებში მთელი რუსეთის დემოკრატიასთან ერთად. მას, ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, პოლიტიკური სახეობა დაკარგული ჰქონდა და რუსეთის სახელმწიფოში წარმოდგენილი იყო, როგორც ტფილისის და ქუთაისის გუბერნია. მაგრამ თვით საქართველოს ძირითად მოსახლეობაში, ქართველ ხალხში, რომელიც მემკვიდრეობდა ორი ათასი წლის კულტურას, ცოცხლობდა მის და ძილის შემდეგ თანდათან გაღვიძებოდა ცხოველი ეროვნული თვითშეგნების და განთავისუფლების. მძლავრი დემოკრატიის დაბადებამ და მისმა ბრძოლამ ფაქტიურათ გადასწყვიტა ბედი ქართველი ერის გაერთიანებისა და პოლიტიკურათ აღორძინების.

საქართველო უფლებრივათ და პოლიტიკურათ აღარ არსებობდა, რუსეთის თვალსაზრისით ის უბრალო ჩვეულებრივი პროვინცია იყო და მეტი არაფერი. ფაქტი ამას ღაღადებდა. და აი ამ ფაქტიური მდგომარეობის წინაშე იჩოქებდა არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე, რომელნიც საერთო მტერთან თვითპყრობელობასთან ბრძოლით თავდავიწყებამდე გატაცებულნი გულწრფელად ივიწყებდნენ ერის ისტორიულ უფლებას და მის დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალურ თვითაღდგენისადმი. თვით რუსეთში კი არ იყო არც ერთი პარტია, არც ერთი ჯგუფი, არც დემოკრატიული, არც სოციალისტური, რომელსაც მოგონებოდეს საქართველოს უფლება და პოლიტიკური თავისუფლება და მათ აღდგენაზე ხმა ამოეღოს. არამც თუ ძველი წყობილება, რუსეთის დროებითს რევოლიუციურ მთავრობებსაც არ ემეტებოდათ უბრალო თვითმართველობაც კი პატარა ერებისთვის და კერძოთ საქართველოსთვის. ასეთია საზოგადოთ დიდპყრობელური ფილოსოფია. ამ მხრით ყველა რუსული პარტია, რუსეთის ყოველნაირი სახელმწიფოებრივი რეჟიმი, ბოლშევიკურიც კი, უაღრესათ რუსულ-ნაციონალური და იმპერიალისტურია.

მაგრამ რუსული პარტიები და რუსეთის მოღვაწენი თუ ივიწყებდნენ ერის უფლებას და მის გამათავისუფლებელ ლტოლვილებას, სამაგიეროთ თვით ერი არ ივიწყებდა თავის თავს და როგორც კი დაჰკრა რევოლიუციის საათმა, მან მყისვე იგრძნო გულის სიღრმეში განთავისუფლების მოახლოვების სიხარული და საერთო რევოლიუციურ პრინციპების გამტკიცებასთან ერთად შეუდგა ეროვნულ ძალთა პოლიტიკურ გამთელების საქმესაც.

საერთო ნიადაგის გამოუნახველად შეუძლებელი იყო ეროვნული ორგანიზმის აღდგენა. ეს საერთო ნიადაგის გამონახვა გაადვილა ჯერ საერთაშორისო ომმა და კარზე მომდგარმა განსაცდელმა (ამაშიადაც საქართველოს ბრძოლის ველად გადაქცევა), შემდეგ რევოლიუციის მსვლელობამ და თავდაცვითმა იმებმა.

ჯერ ისევ ძველი რეჟიმის ბატონობის დროს ჩაისახა ინტერპარტიული პოლიტიკური თათბირი და შეთანხმება სხვა და სხვა საშინაო თუ საგარეო საკითხების შესახებ. რევოლიუციამ ყველას ფრთა შეასხა. თავისთავად ცხადია, საერთო სრულიად რუსეთის საკითხები იპყრობდა პარტიების ყურადღებას. მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობა და რევოლიუციის ლოღიკური განვითარება ყველას თავზე ახვევდა ერის გადარჩენის და რევოლიუციის მონაპოვარის ადგილობრივად ეროვნულ ტერიტორიალურ საზღვრებში შენარჩუნების საჭიროროტო საკითხს. ეს კი იწვევდა ერის თავისუფლების გამოცხადებას და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოწყობას. არავინ არ ფიქრობდა რუსეთიდან გამოყოფას. მაგრამ ისტორიული და პოლიტიკური აუცილებლობის კარნახით ბოლოს და ბოლოს ყველა აქეთკენ მიილტოდა.

რევოლიუციის შემდეგ დაარსდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, შემდგარი ჩვენში მომქმედ პარტიათა წარმომადგენლებისაგან, რომელმაც ბოლოს დელეგატებიც კი გაგზავნა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზედ, სადაც ა. ი. ჩხენკელმა განაცხადა, სხვათა შორის, შემდეგი:

„მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ქართველი ერისა და ყველა მისი პარტიების სახელით, რომლებიც ეროვნულ საკითხში უკვე შეერთდენ საპარტიათაშორისო საბჭოს დაარსებით... ამ საკითხის შესახებ (ეროვნული საკითხი) ქართველ ერს, მისი პოლიტიკურ პარტიების სახით, უკვე აქვს თავისი აზრი, რომელიც ეროვნულ პროგრამაში გამოითქმება, მთელი ერი გაერთიანებულია და პროგრამა იგი მოითხოვს საქართველოსთვის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობის მიკუთვნებას. მე ვსთქვი სიტყვა მიკუთვნება, ნამდვილად კი შეიძლებოდა მეთქვა საქართველოს უფლებების „აღდგენა". ეს უფლებები მას ჰქონდა, ესენი დაცულია ცნობილ ხელშეკრულობაში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შუა დაიდო მაშინ, როდესაც 100 ზე მეტი წლის წინად საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. მხოლოდ ეს უფლებები გასთელეს, მნიშვნელობა დაუკარგეს. მაშასადამე ეხლა მათ აღდგენაზე გვიხდება ლაპარაკი". (სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ეს სიტყვა ცალკე წიგნადაც არის ქართულად გამოცემული).

ეს ხელშეკრულობა (1783 წ.) ნათლად აღიარებდა რუსეთის და საქართველოს უფლებამოვალეობას და მათ ურთიერთულ დამოკიდებულებას. რუსეთს ამ ხელშეკრულობის დედა აზრის ძალით მფარველობა უნდა გაეწია საქართველოსათვის და მისი ხელშეკრულობის, შეცვლა ან გაუქმება ორივე მხარის ნებაყოფლობით უნდა მომხდარიყო. პროფეს. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით 1784 წ. ხელშეკრულობა თვით ხელშემკვრელ მხარეებს მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი აუხვიოთ მათ ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულობა სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ". („დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე XVIII საუკუნეში". გვ. 32).

აი ეს ხელშეკრულება „მფარველობითი მოკავშირეობის", რომელსაც თავისთავად მავნებლობის მეტი არაფერი მოუტანია საქართველოსთვის (პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა". ამბობს პროფესორი ივ. ჯავახიშვილი), რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ დაარღვია რუსეთმა და ძალმომრეობის მანიფესტით საქართველო შეიერთა. მაშასადამე საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უფლება პოლიტიკური თავისუფლების აღდგენა მოეთხოვა, დადებული ხელშეკრულება დარღვეულად და გაუქმებულად გამოეცხადებია და თავის დამოუკიდებელ უფლებრივ მდგომარეობას დაბრუნებოდა...

პ. ხაყვარელიძე.

(შემდეგი იქნება)

ხიდან თავისი ნებით გავიდნენ დაახლოვებით 6.000 მდე უცხოელები. მეორე—პირველად თითქმის სავსებით შეწყდა ტფილისში უცხო ელემენტების შემოსვლა. მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ დღეებში უცხო ელემენტების, განსაკუთრებით რუსების, შემოსვლამ საქართველოში ძლიერ იმატა. ყოველ დღე ტფილისში შემოდის 4—5—10-მდე კაცი, რაც იკვლევა მილიციის აქტებიდან და მილიციის უფროსის მოხსენებიდან. არ ვიცი რა ზომას მიიღებს მომავალში მთავრობა, მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ უცხო ელემენტების შემოსვლა ჩვენში უფრო გაძლიერდება, ვინაიდან გამოქცეული ხალხი მოაწყდება და შეშოვა ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანის პიროვნება ფეხქვეშ არ არის გათელილი და პატივის ცემა აქვს.

ქალაქის მოურავი იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში გადასახლებულთა რიცხვი უფრო გადიდება.

ა. ჯაჯანაშვილის აზრით ეს საქმე დაგვიანდა იმიტომ, რომ სახლის პატრონებმა არ შეუწყვეს კომისიებს ხელი და ფრთხილობდნენ მას საქმეს.

გოთუა აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელიც კომისიას ხვდებოდა მუშაობის დროს. ამ სიძნელეს კიდევ უფრო ართულებდა დეკრეტის ზოგი მუხლები, რომელიც გადასასახლებელთ საშუალებას აძლევდა თავი დაეხწიათ.

ვაჩნაძის აზრით საჭიროა ზომების მიღება, რომ უცხოელები არ შემოვიდნენ. დასაწრულ ეკითხება გამგეობას, არის თუ არა მიღებული რაიმე ზომები საზღვრების გასამაგრებლად, რომ ჩრდილოეთიდან უცხოელები არ შემოვიდნენ.

ქვორუმის ნაკლებობის გამო თავმჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს.

# სრულიად საქართველოს აგრონომია პირველი ყრილობა

25 იანვარს, შესდგა სრულიად საქართველოს აგრონომთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა სრულიად საქართველოს აგრონომიული დახმარების მოღვაწეთა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პროფ. ს. ავალიანმა.

თავმჯდომარე მიესალმა ყრილობას და აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაში არის ამჟამად სოფლის მეურნეობა, რომელიც მიუხედავად ამისა, რომ საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, მაინც იგი სასურველ მდგომარეობაში არა სდგას. და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სრულიად საქართვ. აგრონ. დახმარ. მოღვაწეთა საორგანიზაციო კომიტეტმა განიზრახა ამ ყრილობის მოწვევა. სხვათა შორის ბ. ავალიანი აღნიშნავს, რომ ყრილობის მოწვევის სურვილი დაიბადა 1917 წელს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ აზრის განხორციელება დღემდის არ მოხერხდა. დღეს კი აქ შეკრებილან ყველა ამ დარგში მომუშავენი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის მიაღწევს თავის მიზანს.

შემდეგ თავმჯდომარე აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო ეკონომიურად განუვითარებელი მრეწველობის გამო და იმედს გამოსთქვამს, რომ ყრილობა შესძლებს ამ ნიადაგის გამონახვას. (ტაში)

ყრილობა ადგენს მიესალმოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც მიიყვანა საქართველო დღევანდელ მდგომარეობამდე, დამფუძნებელ კრებას, სახალხო გვარდიას, ახალგაზრდა ჯარს. (ტაში)

შემდეგ წაკითხულ იქნა რეგლამენტი.

შემდეგ სიტყვას ამბობს საორგანიზაციო კომიტეტის სახელით გრ. რცხილაძე და აღნიშნავს, რომ ყრილობის მოწვევის სურვილი 3 წლის წინად დაიბადა, მაგრამ ყრილობის მოწვევა მაინც არ მოხერხდა. საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, ყრილობა უნდა დაიყოს 6 სექციათ; თვითეულ სექციაში წაკითხული იქნება რამოდენიმე მოხსენებანი. შემდეგ ყრილობას მიესალმა სამიწად მოქმედო სამინისტროს სახელით მინისტრი ნ. ხომერიკი, რომელმაც გამოსთქვა იმედი, რომ ყრილობის მუშაობა იქნება მიხან-შეწონილი და ნაყოფიერი.

# ერობა

### თელავის ერობაში.

მაზრაში 38 დაბალ-დაწყებითი სკოლებია, რომლის ხარჯებს ერობა ფარავს თავის სალაროდან. ამ სკოლებში 72 მასწავლებელია. ერობას აქვს აგრეთვე ერთი საცდელი მინდორი სკოლით. მაზრაში რომ გატარდეს პრინციპი საერთო განათლებისა, საჭიროა კიდევ გაიხსნას 6 ახალი სკოლა და მოწვეულ იქმნას 6 მასწავლებელი. ამ ჟამად არსებულ სკოლებისათვის კიდევ საჭიროა 71 მასწავლებელი, რომელთა შესანახად ნავარაუდევია 1.363 200 მან. აგრეთვე სკოლების ასაგებათ და სასოფლო სამეურნეო ხარჯებისათვის საჭიროა 1.438.220 მან. ეს ხარჯები ერობამ იდო თავზე. ერობა ამ წელში გახსნის 3 მაღალ პირველ დაწყებით სკოლებს, რომლის შესანახათ საჭიროა წელიწადში 900.000 მ. დღეს კარგი შენობები აქვს მაზრაში მხოლოდ 15 სკოლას. დანარჩენ შენობებს ესაჭიროება შეკეთება, აგრეთვე უნდა აგებულ იქმნას ახალი სკოლების შენობებიც. ამის გამო თელავის ერობა სთხოვს მთავრობას გაუხსნას კრედიტი 1.363.200 მან. ახლად მიწვეულ მასწავლებელთა შესანახად. უმაღლეს დაწყებითი სკოლების გასახსნელად 450.000 მან., დანარჩენ ხარჯებს ერობა თვით კისრულობს. ერობა სთხოვს აგრეთვე მთავრობას სკოლების ასაგებათ უპროცენტო სესხის სახით 4 მილიონი მან., ათი წლის ვადით.

### ლეჩხუმის ერობაში

თანახმად აგრარულ განყოფილების გამგის მოხსენებისა, ლეჩხუმის მაზრაში დღემდე მიღებულია მემამულეებისაგან და გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში 35,405 დეს. მიწა და 1.341 ოთხკუთხი საჟენი. ამათგან: ორბელიანის რაიონში 15,836 დ. 1,435 ოთხკ. საჟ. ცაგერ-დეხვირის 325 დ., 176 ოთხკ. ს. ჭრებალოს 117 დ. 330 ოთხკ. საჟ., ოყურეშ-ზუბის 86 დ. 1,620 ოთხკ. საჟ., ლენტეხ-ჩოლურის 19,086 და 960 ოთხკ. საჟ.

### სენაკის სამაზრო ერობაში.

მაზრის სხვა და სხვა თვალსაჩინო კუთხეში 8 საექიმო, 9 საფერშალო და 3 საბეითლო პუნქტები არსებობს, აგრეთვე თითოეულ საავადმყოფოსთან მოწყობილია უფასო აფთიაქი ექიმებისა და ფერშლების ზედამხედველობის და საერობო გამგეობის ქვეშ. საფერშალო პუნქტებს აქვთ აუცილებელი მედიკამენტები. ყვავილის ეპიდემიის გამო ერობამ შეიძინა ასაცრელი ვაქცინა და დიდათ შეუწყო ხელი სენის შემცირებას.

საბეითლო პუნქტები არსებობს: სენაკის, აბაშისა და ნოქალაქევის რაიონებში სამი ექიმით და ფერშლით. სენაკის საბეითლო უბანი კარგათ მოწყობილია. აქვს მედიკამენტები და ქირურგიული იარაღები. საქონლის ჭირის გაჩენის გამო აცრილ იქნა 10,000 სულამდე პირუტყვი.

საექიმო დახმარება არის ფასიანი და უფასო, დილის 9—3 საათამდე უფასოა, ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ კი ფასიანი. გამგეობას აზრათ აქვს ყოველ დროისთვის მოაწყოს საექიმო დახმარება უფასოთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებს უსახსრობის გამო. გამგეობა ფიქრობს სასანიტარო გადასახადების საშუალებით ექიმებს გაუდიდოს ჯამაგირი და დააკისროს მათ მცხოვრებთათვის სრულიად უფასო დახმარების აღმოჩენა. განზრახულია აგრეთვე საავადმყოფოების გახსნა: მარანში, ნოქალაქევში, სალხინოში და გორდში. მოაწესრიგოს აბაშისა და ნოქალაქევის საბეითლო უბნები, გახსნას აფთიაქები ცენტრებში და სხვ.

# დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო).

მოსკოვი. გომელი, იანვ. 24. გაზეთების თანამშრომელთან საუბრის დროს რადეკმა განაცხადა რომ გერმანიიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან რუსეთში მოდის გემები მედიკამენტებით.

ლიბავი, ბალტიის სახელმწიფოების ჰელსინგფორსის კონფერენციამ, რომელიც 25 იანვარს დასრულდა მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება. ერთხმად მიიღეს ბალტიის ზღვის ნეიტრალიზაციის პროექტი. ამ პროექტის დაახლოვებითი დამუშავება სხვა დროისათვის გადაიდო, რათა მონაწილეობა მიიღონ იმ სახელმწიფოებმაც, რომლებიც ჰელსინგფორსის კონფერენციაზე არ იყვნენ. შემდეგ შეტანილი იქნა წინადადება შეთანხმების შესახებ, რომლის ძალით ბალტიის სახელმწიფოებს ევალება საბჭოთა რუსეთთან არ შეეკვრან სეპარატიული ზავით, ჰელსინგფორსში შეკრულ სამხედრო შეთანხმების დაუდასტურებლად. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სამმა სახელმწიფომ და ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას, პოლონეთის, ლატვიისა და ფინეთის სახელმწიფოებმა. ესტლიანდიის წარმომადგენლებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. ლიტვის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს.

ნაუენი. იან. 24. რურის ოლქში ნახშირის უქონლობის გამო სამრეწველოები იხურება.

მოსკოვი. იან. 27. შიმშილისაგან და სიცივისაგან თავის დაღწევის საქმე ჩვენს ხელშია. ეს თვით მუშების საქმეა და გარედან დახმარებას არ უნდა ველოდოთ. პროლეტარულმა რუსეთმა უნდა მოუწოდოს ცოცხალ ძალას მეურნეობის აღსადგენათ. აუცილებელია შრომის ფრონტის გაფართოება და გამაგრება. ამ ფრონტზე, ამ ბრძოლაში მუშებს ყავთ ძლიერი მოკავშირეები: სამი წითელი არმია, რომელთაც ეწოდათ შრომის რევოლიუციონური არმია.

მოსკოვი. იან. 27. მოსკოვის კონდუქტორების კავშირის საერთო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: უნდა მოვკიდოთ ხელი ტრანსპორტის საქმეს. მოვახმაროთ მთელი ძალა ამ საქმეს, ნუ მივაქცევთ ყურადღებას დაღლილობას, ჩვენ გვაქვს 46000 მანეთი უბილეთო მგზავრების აღმოჩენისთვის პრემიათ მიღებული. ვარდგენთ მთელი ფული გადაეცეს წითელი ჯარის ოჯახებს.

ნაუენი. იან. 25. გერმანიის მთავრობამ დაადგინა დახუროს კიდევ 13 რკინის გზის სამრეწველო და დაითხოვოს მუშები.

ორშა, იან. 24. „მინსკი კურიერ"-ს ატყობინებენ რომ მესინაში გაფიცულებსა და მთავრობის ჯარის შორის შეტაკება მოხდა. არიან დაჭრილები და დახოცილები.

გომელი. იანვ. 23. პოლონეთში მარტაბიანი სახადი ძლიერ გავრცელებულია. საავადმყოფოები სავსეა.

მოსკოვი. 24 იან. „დალნი ვოსტოკის" ცნობით იაპონიაში მუშათა მღელვარება ისევ დაიწყო. ასპოს და კომაისის ნახშირის მაღაროების მუშები გაიფიცნენ. მუშების სულიერი მდგომარეობა აწეულია.

ჰელსინგფორსი. ბერლინის გაზეთი „ტაგ"-ი იუწყება: ლონდონიდან მოსული ცნობით მესოპატამიაში ქალაქი არბეთის ჯარმა აიღო. ოსმალო-არაბების აჯანყება ძლიერდება. აჯანყებულები ბაღდადის მიმართულებით უტევენ.

# უცხოეთში

### შეერთებული შტატები.

უკანასკნელ ხანებში ამერიკაში გაძლიერდა რეპრესიული ზომები კომუნისტებისა და ანარქისტების წინააღმდეგ.

56 ქალაქში დაპატიმრებულია 2000 კაცზე მეტი. რეპრესიები მიმართულია უმეტეს ნაწილად „ამერიკის კომუნისტურ პარტიის" წევრების წინააღმდეგ.

მათი მანიფესტის ლოზუნგია კაპიტალისტური მართველობის შეცვლა „მრეწველ რესპუბლიკით". პარტიის აგიტაცია განსაკუთრებით ძლიერი იყო და მიზანს აღწევდა შავკანიან მუშებთა შორის. აგიტატორების დევნაში მთავრობას ხელს უწყობს პარტიული ორგანიზაცია სახელწოდებით „ამერიკის ლეგიონი". მეამბოხეთა მეთაურები დაპატიმრებული არიან.

### ინგლისი.

დამატებითი არჩევნებში სპინ-ვალეის ოლქში ხმის უმრავლესობით გავიდა მუშათა პარტიის კანდიდატი მეიერი.

### სომხეთი.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ სომხეთის დელეგაციისა და კურდების წარმომადგენელთა შორის მოხდარა შეთანხმება სომხეთის და კურდისტანის შორის სადავო ტერიტორიაზე. ამ შეთანხმების გამო ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ამერიკის წარმომადგენლები კმაყოფილებას უცხადებენ სომხეთის წარმომადგენელს პოღოს ნუბარს, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას; ამასთანავე აღნიშნავენ, რომ შერიფ-ფაშა, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ფაქტიურათ არ არის ყველა კურდების წარმომადგენელი, მაგრამ ამ შეთანხმებას მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს და მისი გავლენა დიდია.

# საქართველოს მეცხვარე-მესაქონლეთა წარმომადგენლების ყრილობა.

### მეცხვარეობის დაცვა.

მეცხვარეობის დაცვის კომისიის თავმჯდომარე თავის მოხსენებაში ამ საკითხს ეხება და შემდეგი დასკვნა გამოჰყავს, რომელიც კომისიაც დაუდასტურებია:

I. ვინაიდან მეცხვარეობის დაცვა მტაცებლობისაგან გულისხმობს სახელმწიფო საზღვრების დაცვას, კონგრესს საჭიროდ მიაჩნია მიაქციოს ამ კითხვას მთავრობის ბეჯითი ყურადღება რათა საზღვრების დაცვას არ ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი მეცხვარეთა მიერ თავდაცვის სახით. ამავე დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენა, რომ სანაპირო რაზმები შესდგებოდნენ საკმარისად გაწვრთნილ და შეძლების დაგვარად სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებ ჯარისკაცებისგან.

II. მიაქცევს რა მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ დიდი ნაწილი საჭირო ზამთარ ზაფხულის საძოვრებისა მოჰყვა დღევანდელ საზღვრების გარეშე, კონგრესი საჭიროდ სცნობს, რომ საერთაშორისო კითხვების გარჩევის დროს რესპუბლიკის მთავრობამ ზომები მიიღოს საზღვრების გასაწორებლად, საძოვარ ადგილების შემოსაერთებლად, სარგებლობის ფორმის შესამუშავებლად და სხ.

III ვინაიდან დღევანდელს პირობებში მეცხვარეობის დაცვა, მტაცებლობისგან ჯერჯერობით მაინც, ვიდრე საზღვრების დაცვა სახელმწიფოს მიერ იქნება უზრუნველყოფილი, ყოვლად შეუძლებელია საჭურვლისო იარაღის უქონლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მეურნეობის ამ დარგს განადგურება მოელის, —კონგრესს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია:

1) სასტიკად დაცულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი განმარტება, რომელიც გამოცემული იყო ნოემბრის 29-ის სავალდებულო დადგენილების შესავსებად და რომელიც შეეხება პროფესიით მეცხვარეთ და განაპირა კუთხეებში მცხოვრებთ.

2) სანდო მეცხვარეებს შეღავათიანს ფასებში გადაეცეს რესპუბლიკის ჯარებისთვის გამოუსადეგარი ახალ სისტემის თოფები საჭირო ვაზნებით, რათა ბოლო მოეღოს საშინელ სპეკულიაციას იარაღით.

3) მთავრობამ იზრუნოს, რომ მეცხვარეებს შეღავათიანს ფასებში მიეცეს პატრონა (ანუ ვაზნა).

4) ყველა სანდო მეცხვარე-მესაქონლეთა სია შეამოწმოს ადგილობრივმა თემმა, შემდეგ მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობის საბჭომ, რომელიც გადაგზავნის სამინისტროში.

შენიშვნა: თუ მეცხვარეს ბევრი ცხვარი ჰყავს, მიეცეს თითოეულ 1000 სულზე ოთხის იარაღის ნებართვა. მიცემულ ნებართვის ვადა გაგრძელდეს და ძველი ახალზე გადაიცვალოს,

5) როდესაც მეცხვარე შუამდგომლობას აღძრავს იარაღის ნებართვის შესახებ, მას მიეცეს სათანადო მოწმობა და არ ჩამოერთვას იარაღი თხოვნაზე პასუხის მიღებამდე.

6) კონგრესის ზოგიერთს მსურველ წევრს ახლავე მიეცეს იარაღის მოწმობები, რადგანაც მათი კეთილსინდისიერება, როგორც დელეგატებისა, ეჭვს გარეშეა.

IV. მიექცეს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციის და გვარდიის ზოგიერთი პირნი უკანონოდართმევენ იარაღს, ავიწროებენ, მექრთამეობენ და სხვა.

ყრილობა ამ დებულებებს ერთხმად ამტკიცებს.

### საქონლის სენი.

სხდომა იწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარულ სანიტარულ გამგის ვ. ლაზხაურის მოხსენებით, რომელიც შეეხება ცხვარ საქონლის ავადმყოფობას და მის წინააღმდეგ ბრძოლას. მოხსენების დებულებები შემდეგია, რომელსაც ყრილობა ერთხმად ამტკიცებს:

1) საქონლის სხვა და სხვა გადამდები სენი წარმოადგენს ერთს უმთავრეს დაბრკოლებას საქონლის მოვლა მოშენების საქმეში.

2) საქონლის გადამდებ სენთან ბრძოლას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს ყველასათვის სავალდებულო და იძულებითი საერთო კანონმდებლობა, როგორც ნახსენებ სენისა, აგრეთვე პროფილაქტიური წინასწარ ზომების შესახებ.

3) ვეტერინარ სანიტარულ კანონ-პროექტების დამუშავებაში უნდა მიიღონ თანამშრომლობა, როგორც საზოგადოებრივ დაწესებულებათა, აგრეთვე სხვა და სხვა დაინტერესებულ ამ საქმეში რესპუბლიკის მთავრობის უწყებათა წარმომადგენლებმა.

4) ერობათა და ქალაქთა თვითმართველობანი ეხმარებიან მთავრობას ვეტერინარ-სანიტარულ კანონების დაცვა-განხორციელებაში.

5) მთავრობის ორგანოს ვეტერინარ სანიტარულ განყოფილებას ევალება კონტროლი და ზედამხედველობა კანონების სისწორით ცხოვრებაში გაყვანასა და აღსრულებაზე.

6) ამისათვის საჭიროა არსებობა მთავრობის ვეტერინარ სანიტარულ ცენტრისა და ერობისა და ქალაქების ადგილობრივი ორგანიზაციებისა, როგორც აღმასრულებელ ორგანოებისა.

7) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო საქონლის ინპორტს და აგრეთვე საქონლის კულტურულ ეგზემპლიარების შეძენას, ვინაიდან პირველს ხშირად მოსდევს სხვა და სხვა გადამდები სენი, უკანასკნელთ კი უფრო ტუბერკულიოზი.

8) საჭიროა დაარსდეს ვეტერინარ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, სადაც უნდა სწარმოებდეს მეცნიერული კვლევა-ძიება გადამდებ სენთა და მათი საწინააღმდეგო შრატების და ვაქცინების დამუშავება.

9) უნდა მოეწყოს ამა თუ იმ ფორმის შინაურ პირუტყვთა დაზღვევა.

ამის შემდეგ იწყება მოხსენებანი ადგილებიდან.

23 იანვრის სხდომას დაესწრო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ჭიჭინაძე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა სახელმწიფოს საერთო მდგომარეობა, შანაგან მუშაობის საჭიროება და მთავრობის სახელით ყოველგვარ დახმარებას ჰპირდება მეცხვარე-მესაქონლეთ.

**მონოპოლია.**

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი **ხვ. ავალიანი** მონოპოლიის საკითხს ეხება და ამბობს: ბევრი განზრახ ავრცელებს ხალხში ყალბ ხმებს, მონოპოლია სწორედ ხალხისთვის არის სასარგებლო. ჩვენ გვჭირდება შაქარი, ფართლეული, სამეურნეო იარაღი და საგნები, რომელიც უცხოეთში მოიპოვება. იმათ კი სჭირდებათ თამბაქო, მატყლი, ქვანახშირი და სხვა ნედლი მასალა, რომელიც ჩვენში მოიპოება და რომლის დამუშავებაც ქარხნების უქონლობის გამო დღეს დღეობით ჩვენ არ შეგვიძლიან. ცხადია ჩვენ უცხოელთ ნედლი მასალა უნდა მივცეთ და სამაგიეროდ ჩვენთვის საჭირო საგნები შემოვიტანოთ. ვინ უნდა გაიტანოს ეს მასალა უცხოეთში?

რასაკვირველია, არა კერძო პირებმა, არამედ მთავრობამ, რომელიც სამაგიეროდ საჭირო საგნებს შემოიტანს უცხოეთიდან და ხალხს შეღავათიანს ფასებში მიაწოდებს. ეს ნედლი მასალა ხალხს ეკუთვნის და იგი ხალხის ხელშიც უნდა იყოს და არა კერძო პირთა ხელში. მთავრობა კი თვით ხალხის მიერ არის არჩეული.

ამის შემდეგ მონაპოლიის შესახებ ლაპარაკობს მთელი რიგი ორატორებისა, მათ შორის: შაქრო ბეგიაშვილი, შალვა ქარუმიძე, დ. ქადაგიძე, რ. გაბაშვილი. კ. ტყავაძე, ვ. ალუღიშვილი, პავლე ბენუკლიშვილი, ვასო ჭობიაშვილი, ივ. ციციშვილი, ვ. ანთელაშვილი, ყაზარ მიქელოშვილი, გიორგი ედიშერაძე და კ. სვიმონიშვილი.

ორატორნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისინი წინააღმდეგნი არ არიან მონოპოლიისა, მხოლოდ დასძენენ რომ, მატყლი სამართლიანად უნდა იყოს შეფასებული მთავრობისა და მეცხვარეთა წარმომადგენლების მიერ, შუაკაცები მეცხვარეთა და მთავრობის შორის არ უნდა არსებობდეს და მთავრობა მეცხვარეებს ფულს ავანსად უნდა აძლევდეს წინასწარ ხარჯების გასასტუმრებლად. გამოითქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეკავშირდნენ მეცხვარე მესაქონლეები.

# მადლობის წერილი

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შემდეგი შინაარსის მადლობის წერილი მიიღო დუშეთის ყოფილ გენერალ-გუბერნატორისაგან: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 14 ოქტომბრიდან 1919 წ. დღემდის მე ვიყავი ქალ. დუშეთში გენერალ-გუბერნატორად—ამ დროს განმავლობაში რა თქმა უნდა ხშირად მიწევდა ადგილობრივ ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებასთან საქმის დაჭერა. ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მოგახსენო, რომ ყოველთვის განცვიფრებაში მოვდიოდი იმ წესრიგით და იმ ერთგული თავდავიწყებითი მუშაობით, რასაც მე ვხედავდი აქ ალექსანდრე სოლომონის ძე ფარესიშვილის მეთაურობით; როგორც ის, ისთე ყველა მისი თანამშრომლები უმაღლესი მადლობის და დაფასების ღირსნი არიან. მე ძლიერ გაადვილებული მქონდა მუშაობა მათი მოქმედებით ვერ გავკადნიერდები ისთე, რომ იმათ მადლობა არ ვუძღვნა—მაგრამ არც ის შემიძლიან, რომ თქვენ არ გაცნობოთ ამ გარემოების შესახებ. გიმტკიცებთ ჩემს ღრმა პატივისცემას.

გენერალ-გუბერნატორი პოლკოვნიკი

**ინწკირველი.**

# მილიციაში.

25 ი-ნვარს ქართულ კლუბის გამგემ ამაშუკელმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ კლუბიდან სისტემატიურათ იპარავენ სხვა და სხვა ქონებას, 25 იანვარს კი მოპარულია შამპანიურები, და სხვ. ძვირფასი სამილები, სანთლები, ბანქო და სხვ. სულ 25,000 მან.

იჭვი იყო კლუბის მოსამსახურეებზე. მილიციამ მალე გამოარკვია, რომ ქურდობა მოუხდენია გაბო და ამბერკ ქექინაძეებს, რომლებიც ქურდობაში გამოტყდენ და დაასახელეს მონაწილეობის მიმღებნი: ამავე კლუბის კონტორის გამგე ვ. გელოვანი და შვეიცარის თანაშემწე ე. სიგუა რომლებიც დაპატიმრებული არიან. მილიციამ მოპარული ქონება აღმოაჩინა და კლუბს ჩააბარა.

სისხლ. სამ. მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებულია მიხეილ ნიკოლოზისძე შმიგინი, რომელიც უწოდებდა თავის თავს თავად მაჩაბელს და რომელსაც გაძარცვის მიზნით უნდოდა მოეკლა ქ-ნი სოკოლი. ამ საქმეში მისი ამხანაგი, ლიდია სოკოლიც დაპატიმრებულია ციხეში № 1.

# სხვა და სხვა

◆ ფრანგული ფირმა „პაკეს“ სავაჭრო გემმა „სორკასი“-მ, ჩამოიტანა სხვა და სხ. საქონელი და სურსათი. გემი დაახლოებით 5 დღეს დარჩება ბათუმში. ამ დღეებში ბათუმში მოელიან ამავე ფირმის გემი „ანატოლია“-ს.

◆ ქართულ 1-სახელმწიფო ლატარიის გამგეობამ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადასცა 1,200,000 მანეთი.

◆ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში სასოფლო სამეურნეო განყოფილების სასარგებლოდ შემოვიდა შემოწირულება: ივანე მგელაძისაგან 1000 მანეთი. ვლად. ქუთათელაძისაგან აღბულახში გამართულ სახალხო გვარდიის დღის ფონდის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან 647 მანეთი.

◆ 28 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩ., № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ფილ. დოქტ. მ. შალამბერიძე „ფქვილი ნახშირის შესახებ“.

◆ 24 იანვარს შესდგა ტეხნიკურ საზოგადოების კრება ინჟ. ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით. კრებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს და აგრანომთა ყრილობას.

# ყალბი ნებართვების აღმოჩენა

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ შეიტყო, რომ უცნობნი პირნი აკეთებენ ყალბ მოწმობებს საქართველოდან სავალიუტო საქონლის გაზიდვისათვის და ბირჟაზე ვაჭრობენ კიდეც ამ ნებართვებით.

კედიამ დაავალა თავის თანაშემწე ჯანელიძეს აღმოაჩინოს ეს ყალბი მოწმობანი და ამ ნებართვებით მოვაჭრენი. ტფილისის საქონლის სადგურზე გასაზიდ საქონლის დოკუმენტების შემოწმების დროს ჯანელიძემ აღმოუჩინა ცხვრის ტყავების გამგზავნელ შალიეს ნებართვა მომარაგების სამინისტროში კანტორა „ბაკბატების“ სახელზე 5,000 ფუთი ცხვრის ტყავის გატანის თაობაზე. შალიე ჰგზავნიდა „სავაჭრო სახლის სტუკენ და კომპანიის“ მონდობილობით, ამ ნებართვის ძალით „სავაჭ. სახ. სტუკენ და კომ.“ ბათუმში ჰგზავნიდა ჯეჯ-ჯერობით 2,000 ფუთს. ეს ნებართვა მომარაგების სამინისტროში შემოწმების შემდეგ დავთრებში გაუტარებელი და ყალბი აღმოჩნდა. ჯანელიძემ გამოარკვია, რომ „სავაჭ. სახლს სტუკენ და კომ.“ ეს მოწმობა 300,000 მან. უყიდნიათ თავის აგენტის ზუბაროვსკის ხელით ვაჭართა ბანკის მოსამსახურე პეტროვჩაკის დახმარებით. პეტროვჩაკის ბინის გაჩხრების დროს აღმოჩნდა სხვა და სხვა ხელწერილები, რომლის ძალითაც პეტროვჩაკს უნდა ეშოვნა სხვა და სხვა პირებისათვის ნებართვა თამბაქოს, მატყლის, ხალიჩების და სხვა საქონლის გასატანად. აგრეთვე აღმოჩნდა მომარაგების სამინისტროს ნებართვა საქართველოდან 10,000 ფუთი თამბაქოს გატანისა. მოწმობა ყალბი აღმოჩნდა. პეტროვჩაკი გამოტყდა, რომ ცხვრის ტყავის გატანის ნებართვა მართლაც მისი საშუალებით იშოვნა „სტუკენის და კომ.“ სავ. სახლმა 300000 მ. დაასახელეს აგრეთვე ზოგიერთი მონაწილე პირი, თვით პეტროვჩაკი ბირჟის მაკლერი იყო და განსაზღვრულ ჯილდოს იღებდა სხვა და სხვა პირებისაგან ყალბ ნებართვების შოვნაში.

სტუკენსა და კო—იას წინადაც უყიდნია მისგან ნებართვა 5,000 ფუთ ცხვრის ტყავის გატანისა და გასულ წლის ოქტომბერს კიდეც გაუტანია ბათომში. ამ საქმის მონაწილე სერებრიაკოვიც შეიპყრეს. იგი გამოტყდა დანაშაულში. მან დაასახელა დამნაშავენი და აღნიშნა, „სტუკენისა და კომპ“. ნებართვების ფულები მან წაიღო მთავარ საბაჟში, როგორც მომარაგების სამინისტროს შიკრიკმა.

პეტროვჩაკი და სერებრიაკოვი ციხეში ჩასვეს, ხოლო მათი საქმე გადაეცა ტფ. საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს.

## განცხადებანი

ვლადიმერ სიმონის ძე ხევსურიან აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 80 3—3

დაკარგულია ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1917 წ. ნოემბრის 23, სტეფანე არტემის ძე სარქისოვის სახელზე მიცემული პასპორტი № 4912 პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 114 3—3

ნიკოლოზ დავითის ძე ბურდინოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 295, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
119 3—8

იოხა ვოვსევის ასული კატლან-იანკელოვა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული გარჯის სამმართველოდან 1919 წ. დეკემბრის 20-ს. პასპორტი გაუგმებულათ ჩაითვალოს 121 3—3

იოსებ აქვსენტის ძე ფულარიანი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული ქ. ქუთაისის მაზრის უფროსის კანცელარიიდან და უკრაინის 47 ფეხოს. პოლკის კანცელარიიდან აღებული ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
118 3—3

პოლინა ვოლფოვის ასული კაპლანოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან აღებული კვიტანცია 489 № იმაში რომ გადახდილია მეორე სემესტრის ფული. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 122 3—1

ვლადიმერ სიმონის ძე ხევსურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული სამხედრო აღრიცხვის უფროსის კანცელარიიდან, მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
80 3—2

ბაბალე ვლადიმერის ასული ჩაჩიბაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი. მპოვნელს სთხოვენ მოიტანოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
2—2

გუსეინ ალი ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი სოფელ ტაკიეს საზოგადოებიდან (ტფილ. მაზრა) აღებული პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 76 3—

არუთინ მოსეს ძე შახნაზაროვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა № 832.
მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
128 3—2

წყალობა გიორგის ძე მირზოევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის თავთარი მე 8 უბანდარის ტუპიკი. № 3.
დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
129 3—2

ელიშა იაგორის ძე ეგოროვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა თელავის ქალაქის თვითმართველობიდან აღებული უვადო პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
109 3—3

არშაკ გასპარის ძე ლამბროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თელავის სამაზრო ერობის საადმინისტრაციო განყოფილებიდან აღებული 1920 წ. საზღვარ გარეთ წასასვლელი მოწმობა № 39. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
112 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 76485 50—მან. რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 120 3—3

დიმიტრი შიოს ძე გელიაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ახალქალაქის ერობის გამგეობიდან დეკ. 27 ს 1919 წლ. № 701. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 104 3—3

თემურ მუსას ძე სულთანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნაკი საკუთარი სახლისა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 105 3—3

გუსეინ ალი ოღლი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 101 3—3

ბესარიონ თევდორეს-ძე მარიდაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ახალქალაქის ერობის გამგეობიდან დეკ. 27 ს № 700. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 103 3—3

ბაბილე ვლადიმერის ასული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი. მპოვნელს სთხოვენ მოიტანოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
3—3

ნიკო სილიბისტროს ძე ლორია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, გამოჩინებულის (ქუთ. მაზრა) თემის ერობიდან აღებული. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 124 3—3

ლეონტი ალექსის ძე ბურგმანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახაზინო რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლ. დასრულების მოწმობა 13/III 1917 წ. № 802. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 133 3—1

დაკარგულია 1918 წ. ქრისტეშობისთვის 31 დღეს ტფილისიდან თელავში გაგზავნილი ერთი ცისტერნა ნავთის დუბლიკატი № 342875, წონა 745 ფუთი. დოკუმენტის მპოვნელს სავაჭრო სახლის "შუამავლის" გამგეობა სთხოვს დაუბრუნოს გამგეობას შემდეგი მისამართით. ტფილისი, აკიმოვის ქუჩა № 1. ორჯონიკიძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 123 3—3

არმენაკ ნიკოლოზის ძე ახნაზაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სომხეთის წარმომადგენლიდან როსტოვში და „პროპუსკი“ მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კონსულიდან ბათუმში. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 132 3—3

მინდობილობის ფურცელი მიცემული დიმიტრი ისააკის ძე ლავასოვის მიერ, კონსტანტინე კირიაკის ძე ლავასოვის სახელზე, დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუსის მიერ 1919 წ. დღიდან ამ განცხადებისა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 70 3—3

კირილე მალაქის ძე შენგელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კულაშის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის 4 კლასის გათავების მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს სამტრედიაში, კულაშის საზოგადოება შენგელიას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 72 3—3

დაკარგულია პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის როსტოვის განყოფილების ბილეთი №13245 მიღებული 1919 წ. 26 დეკემბერს ოლიმპიადა ათანასის ასულის ვოიცეხულიანის სახელზე 50,000 მანეთის. ბილეთი გაუქმებულათ ითვლება. 131 3—3

არტემ ისაკის ძე მარფაროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და მეეტლეობის მოწმობა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 113 3—3

ბორის სოლომონის ძე ლევინოვ-ნეკელსკი აცხადებს, რომ სხვა დოკუმენტებთან ერთად მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 79 3—3

იოსებ ერმილეს ძე ჩიმაკაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხონის ვაჟთა პროგიმნაზიის ექვსი კლასის დამთავრების მოწმობა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 82 3—3

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 5 ივლისს 1919 წ. დამტკიცდა ივნისის 7 დღესა 1916 წ. შესრულებული ნაყიდობა, მიცემული ქუთაისის ქალაქის გამგეობის მიერ პავლე კუზმის ძე პუშკოვისადმი, ნაკვეთი, მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში № 507 ა სალორიის აგარაკში, ზომით 107 ოთხკ. საჟ. 488 მანეთად.

სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 19 მან. 52 კაპ.

მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირბის ქაღალდზე მიცემულია. 0182 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი